საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ვ. გ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ადვოკატი ი. ა. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 013/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ჯ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ჯ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით, შემდგომში „დებულება“, გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2020 წლის 24 იანვარს საჩივრით მომართა ვ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართა ადვოკატ ა. ჯ.-ს, რომელმაც იცოდა რუსული ენა, რის გამოც მასთან კომუნიკაცია უმარტივდებოდა.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სურდა სამოქალაქო დავის დაწყება ინდოეთის მოქალაქეების მიმართ, მათი მხრიდან არსებული ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ დავის წარმოშობის პერიოდში, მოპასუხეების სახელზე ირიცხებოდა 5 უძრავი ქონება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თვეების მანძილზე აწვდიდა არასწორ ინფორმაციას, რომ თითქოს მის საქმეზე შეიტანა სარჩელი, მოითხოვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება და ა.შ., რაც რეალურად არ განუხორციელებია. ამ პერიოდში, მოპასუხეებმა გაასხვისეს უძრავი ქონება და მისი სამართლებრივი მოთხოვნა დარჩა აღსრულების გარეშე.

1.5 2020 წლის 10 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატთან იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა 2018 წლის 10 აპრილს. მოპასუხეთა ქონების გასხვისება მოხდა იმ პერიოდში, როდესაც მისი ადვოკატი იყო ა. ჯ., მიუხედავად იმისა, რომ მის მოთხოვნას თავიდანვე წარმოადგენდა ქონების დაყადაღება, რადგან შესაძლებელი ყოფილიყო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის და ადვოკატი შეთანხმდნენ, რომ ადვოკატს მასთან ექნებოდა სრულყოფილი კომუნიკაცია საქმის მიმდინარეობის თაობაზე, თუმცა ის თავისი საქმის თაობაზე ვერ იღებდა სწორ ინფორმაციას, ადვოკატი აიმედებდა, რომ ყველაფერი კარგად იყო.

1.7 ადვოკატმა ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე თვეში მიმართა სასამართლოს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების განცხადებით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება, რადგან ა. ჯ. არ ჩათვალა უფლებამოსილ განმცხადებლად, ვინაიდან მან განცხადება შეიტანა ვ. გ.-სთან ერთად ამ საქმეში ჩართული იმ პირთა სახელითაც, რომელთა ინტერესებს არ წარმოადგენდა. სასამართლომ ეს განჩინება მიიღო 2018 წლის 03 ივლისს. ამ დროს მოპასუხე მხარეს 5 ქონებიდან გასხვისებული ჰქონდა 3 ქონება. მეორე ანალოგიური შინაარსის განჩინება სასამართლომ გამოიტანა 2018 წლის 11 სექტემბერს. ამ პერიოდისათვის მოპასუხე მხარეს გასხვისებული ჰქონდა ყველა ქონება, რომელიც მანამდე გააჩნდა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტავს, რომ მან შესთავაზა ადვოკატს გამოეყენებინათ შესაძლებლობა, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს, განცხადებით მიემართათ საჯარო რეესტრისათვის, გადაიხდიდნენ 2 ლარს და 3 დღის განმავლობაში ქონებაზე სამართლებრივი მანიპულაცია ვერ მოხდებოდა. ამ მექანიზმის გამოყენება შეიძლება ბევრჯერ, რადგან კანონმდებლობით ოდენობა არ არის შეზღუდული. ადვოკატმა უთხრა, რომ არ იყო საჭირო.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, საადვოკატო ურთიერთობის დაწყებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, ის სთხოვდა ადვოკატს მისთვის გაეგზავნა საქმის მასალები, რომ შეძლებოდა სხვა ადვოკატის აყვანა, თუმცა ადვოკატი ამას აჭიანურებდა. საბოლოოდ, დოკუმენტები დაუბრუნა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას მიადგა ზიანი, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გართულდება აღსრულება, რადგან მოპასუხეები არ არიან საქართველოს მოქალაქეები, აღარ ცხოვრობენ და აღარ აქვთ ქონება საქართველოში.

1.11 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა მას გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხა სრულად დაუბრუნა და შეპირდა ზიანის ანაზღაურების სახით გარკვეული თანხის გადაცემას, რომლის ოდენობაზეც ვერ შეთანხმდნენ და მას შემდეგ, ადვოკატმა გაწყვიტა მასთან ყოველგვარი კომუნიკაცია.

1.12 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი მას არასწორად უმარტავდა კანონმდებლობით დადგენილ ვადებს და შეყავდა შეცდომაში.

1.13 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატის უმოქმედობით დაკარგა დაახლოებით ერთი წელი, დასჭირდა მიემართა სხვა ადვოკატისათვის, რომელმაც თავიდან დაიწყო ამ საქმის წარმოება. მისი სასარჩელო განცხადება ამჟამად სასამართლოში განხილვის ეტაპზეა, მას აქვს მოლოდინი, რომ სარჩელი დაკმაყოფილდება და რადგან ადვოკატმა თავისი უმოქმედობით შეუძლებელი გახადა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, მას მიადგა ზიანი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. ჯ.-მ ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2020 წლის 03 აგვისტოს, სადაც მიუთითა, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები მის მიმართ არის უსაფუძვლო. საქმის წარმოების პროცესში მის მიერ განხორციელებული ყველა ქმედება ემსახურებოდა კლიენტის ინტერესს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, კლიენტს სურდა ბ. ე.-ს წინაშე არსებული იპოთეკური სესხისაგან თავის არიდება და სანამ ეს გამოვიდოდა, სურდა დროის მოგება გადახდის საკითხთან დაკავშირებით.

2.3 საწყის ეტაპზე, დროის მოგების მიზნით, კლიენტთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეეტანათ სარჩელი და მოეთხოვათ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. მხარის მიერ მისთვის წარდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ სასამართლოს დაეკმაყოფილებინა მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ვ. გ. იყო ბ. ე.-ს ოჯახის თავმდები პირი და რეკომენდატორი ბინადრობის საკითხთან დაკავშირებით. რადგან მის კლიენტს სურდა გამიჯნოდა ამ პიროვნებას, წარადგინა წერილი რეკომენდაციის უკან გამოთხოვის მოთხოვნით.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ ვ. გ.-ს წარმომადგენლობის პროცესში ჰქონდა პირადი პრობლემები, რის გამოც ვეღარ შეძლო მისი წარმომადგენლობა და სრულად დაუბრუნა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი.

2.6 ა. ჯ.-მ საპროცესო კოლეგიის 2020 წლის 24 სექტემბრის სხდომაზე განმარტა, რომ თავდაპირველად კლიენტმა მიაწოდა საქმის საწარმოებლად მცირე მოცულობის ინფორმაცია. აპრილის თვეში, რადგან ჯერ კლიენტს მის სახელზე გაცემული არ ჰქონდა მინდობილობა, მან დაუწერა და ვ. გ.-მ თავისი სახელით შეიტანა სასამართლოში

განცხადება მოთხოვნის უზრუნველყოფის თაობაზე. ადვოკატი განმარტავს, რომ ვ. გ.ს მიზანი იყო არა თანხის ამოღება მოპასუხისაგან, არამედ მოპასუხის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ სარჩელი შეიტანა სასამართლოში, თუმცა რადგან კლიენტმა არ მიაწოდა საკმარისი მტკიცებულებები, სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო. მას მხარემ არ მიაწოდა მტკიცებულებები სარჩელის გასამყარებლად.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ ვ. გ.-ს მოუმზადა შესაგებელი კიდევ ერთ სამოქალაქო საქმეზე, ამ დავის შესახებ მას თავიდან არ ჰქონდა ინფორმაცია, რადგან კლიენტმა თავის საქმეზე არ მიაწოდა ინფორმაცია სრულყოფილად. ამ გარემოების გათვალისწინებით, მან კლიენტს თავად შესთავაზა შეეწყვიტათ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ მათ შორის კომუნიკაციის პრობლემა ნაწილობრივ წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ მას კლიენტთან კომუნიკაცია ჰქონდა თანაშემწის მეშვეობით. ის აწვდიდა კლიენტს იმ ინფორმაციას, რასაც აწვდიდა თანაშემწე.

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ მისი ქმედებით კლიენტს ზიანი არ მიდგომია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო.

3.2 ვ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 24 იანვარს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2018-2019 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ა. ჯ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ა. ჯ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მისი საქმე აწარმოა არაკვალიფიციურად, არ აწვდიდა ინფორმაციას და ადვოკატის ქმედებით მიადგა ზიანი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ა. ჯ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის

წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.2.2 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2.).

5.2.3 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

5.3 ადვოკატი იურიდიული მომსახურების გაწევისას დაწვრილებით უნდა ეცნობოდეს საქმის თითოეულ გარემოებას და აფასებდეს სავარაუდო საფრთხეებს, ვინაიდან შესაძლებელია აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს საქმის კლიენტის ინტერესებისათვის და სასამართლო საქმის შედეგისათვის. საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან, კლიენტის ინტერსების უპირატესობის გათვალისწინებით. (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N061/12).

5.4 კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს იმ სამართლებრივი რისკების შეფასებას, რომელიც კონკრეტული მტკიცებულებების გამოკვლევას და ამ მტკიცებულებათა კლიენტის კანონიერ ინტერესებთან შემხებლობას უკავშირდება (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N096/11).

5.5 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები). თუმცა პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით

შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმესთან დაკავშირებით, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

5.6 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N074/10).

5.7 ვ. გ.-სა და ა. ჯ.-ს საადვოკატი ბიურის შორის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე გაფორმებულია 2018 წლის 10 აპრილს. კლიენტისაგან მიღებული დავალების ფარგლებში, ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით განცხადება, შემდეგ სარჩელი და შესაგებელი სხვა დავაში. სასამართლომ არ გამოიყენა მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება (2018 წლის 03 ივლისის განჩინება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ), ხოლო სარჩელი არ მიიღო წარმოებაში (2018 წლის 11 სექტემბრის განჩინება სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების წარმოებში მიღებაზე უარის თქმის შესახებ).

5.8 კომისიის შეფასებით, ადვოკატმა სამართლებრივად განახორციელა ქმედებები, რომლებიც კლიენტის ინტერესში შედიოდა - განცხადებით მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა; ადვოკატმა წარადგინა სარჩელი, რომელიც სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო. კომისიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ შეუძლია შეაფასოს კონკრეტული განცხადების შინაარსი ან სარჩელის დასაბუთებულობა. ადვოკატ ა. ჯ.-ს სტრატეგია შეთანხმებული ჰქონდა კლიენტთან, ვ. გ. ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ ადვოკატმა მიმართა სასამართლომ განცხადებით და მოითხოვა უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება, შემდეგ მიმართა სარჩელით. კლიენტი ინფორმირებული იყო ამ დოკუმენტებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი პასუხის შესახებ. ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატმა დაიცვა ეთიკური სტანდარტი - კლიენტს ჰქონდა გონივრული ვადა ახალი ადვოკატის ასაყვანად, კლიენტს დაუბრუნა საბუთები და ჰონორარი სრულად.

5.9 კომუნიკაციის პრობლემის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ამონაწერი სოციალური ქსელის ფეისბუქის მესენჯერიდან და მეილიდან. ამონაწერების დეტალურად შესწავლის შედეგად, კომისიას მიაჩნია, რომ მხარეებს შორის იყო უწყვეტი კომუნიკაცია და იქედან გამომდინარე, რომ სასამართლომ არ გამოიყენა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება - ყადაღა მოპასუხეთა უძრავ ქონებაზე, საჩივრის ავტორს

გაუჩნდა უნდობლობა ადვოკატისადმი. საჩივრის ავტორის უნდობლობიდან და ადვოკატის პირადი პრობლემებიდან გამომდინარე, ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა დასრულდა ადვოკატის შეთავაზებით. საადვოკატო ურთიერთობის დასრულების შემდეგ ადვოკატმა ყოფილ კლიენტს სრულად დაუბრუნა მიღებული საადვოკატო მომსახურების ჰონორარი და საქმის მასალები.

5.10 მომჩივანის ძირითადი პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა იმ გარემოებაში, რომ მისი პოზიციით ადვოკატმა ვერ უზრუნველყო ქონებაზე ყადაღის დადება, რის გამოც მისმა მოპასუხემ თავისი უძრავი ქონება გაასხვისა, შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ მის სასარჩელო მოთხოვნას სასამართლო დააკმაყოფილებს, აღსრულება გართულდება და აქედან გამომდინარე, ადვოკატმა მიაყენა ზიანი. სავარაუდო ზიანს, რომელიც სამართლებრივად დამდგარი არ არის - ვ. გ.-ს დავა მიმდინარეა, ეთიკის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ შეაფასებს.

5.11 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ა. ჯ.-ს მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები მიზნად ისახავდა კლიენტის - ვ. გ.-სთვის სასურველი შედეგის დადგომას. ადვოკატს კლიენტი ინფორმირებული ყავდა ყველა იმ მოქმედების შესახებ, რომელსაც მის სასარგებლოდ ახორციელებდა. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ, კანონის 5(ა), 6.2 და ეთიკის კოდექსის 8.5, 8.6 და 8.15 მუხლების შესაძლო დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N013/20 ადვოკატ ა. ჯ.-ს მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/